განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მაგისტრატურა

განათლების ადმინისტრირება

22/07/2022

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	განათლების ადმინისტრირება
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	განათლების ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0413 - მენეჯმენტი და ადმინისტრირება
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ავტორიზებული, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილება #56

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ქეთევან თოდაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანი ქვათაძე, ბაუ ბათუმის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ფარეშიშვილი, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე. პროგრამა შემუშავებული იქნა 2011 წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელსაც საფუძვლად დაედო USAID-ს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბსუ-ს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. პროგრამის შემუშავებისას ძირითადად გათვალისწინებული იქნა კალიფორნიის ლოს-ანჟელესის უნივერსიტეტის გამოცდილება.

პროგრამამ პირველი აკრედიტაცია მიიღო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 12 მარტის #46 გადაწყვეტილებით. 2020 წელს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს #54 გადაწყვეტილებით პროგრამამ მიიღო პირობითი აკრედიტაცია 2021 წლის 27 სექტემბრამდე. ხოლო, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 29 ოქტომბერის სხდომაზე პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე, რის შემდეგაც პროგრამამ განაგრძო ფუნქციონირება ავტორიზაციის რეჟიმში.

ამჟამად, აკრედიტაციის მიზნით, მოდიფიცირებული სახით წარმოდგენილი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 120 ECST კრედიტს, რომელიც გაწერილია 2 აკადემიურ წელზე (4 სემესტრი). პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

- 75 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსები (მათ შორის 10 კრედიტი პროფესიული პრაქტიკა);

- 15 კრედიტი - არჩევითი კურსები;
- 30 კრედიტი - სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი).

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭებას. განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აუცილებელია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების ჩაბარება ინგლისურ ენასა და სპეციალობაში. აპლიკანტმა გამოცდის ჩაბარებით უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა.

პროგრამის განხორციელებას ემსახურება ემსახურება 31 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აქედან, 26 აკადემიური პერსონალი აფილირებულია უნივერსიტეტთან (5 პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ პროფესორი და 1 ასისტენტი). პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მხოლოდ 3 მოწვეული აკადემიური პერსონალი.

ამჟამად პროგრამაზე ირიცხება 24 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი. 2012 წლიდან დღემდე პროგრამას ყავს 84 კურსდამთავრებული. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების მიხედვით (კვლევაში მონაწილეობა მიიღო 55 კურსდამთავრებულმა) გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 47,3% (26 კურსდამთავრებული) დასაქმებულია სპეციალობის შესაბამისად, 14,5% (8 კურსდამთავრებული) - მომიჯნავე სპეციალობით, 27,3% (15 კურსდამთავრებული) - არა სპეციალობით, 10,9 (6) % კი - არაა დასაქმებული. როგორც გამოკითხვიდან ჩანს, კურსდამთავრებულთა უმრავლესობა დასაქმებულია სპეციალობის შესაბამისად. აღსანიშნავია ისიც, რომ გამოკითხულ კურსდამთავრებულთა 21,8%-მა (12 კურსდამთავრებული) სწავლა გააგრძელა სწავლების შემდგომ საფეხურზე.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2022 წლის 22 ივლისს აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით.

უნივერსიტეტმა ექსპერტთა ჯგუფისთვის უზრუნველყო სამუშაო გარემო. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა შეხვედრები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის პოტენციურ დამსაქმებლებთან. ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა დაგეგმილი შეხვედრები და დათვალიერდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შემოწმდა სილაბუსში მითითებული ლიტერატურის ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომობა და ელექტრონულ ბაზებზე წვდომა. უნივერსიტეტმა ვიზიტის დროს წარმოადგინა ექსპერტთა ჯგუფის მიერ დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლისა და ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წინამდებარე დასკვნის მიხედვით განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია ან მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტებთან, კერძოდ:

- **სტანდარტი 1.** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან 1.1 და 1.2 კომპონენტები მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **სტანდარტი 2.** სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, რადგან 2.2, 2.3 და 2.6 კომპონენტები მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **სტანდარტი 3.** სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- **სტანდარტი 4.** სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
- **სტანდარტი 5.** სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ხოლო 5.1. კომპონენტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

- **რეკომენდაციები**

1. რეკომენდებულია შრომის ბაზრის კვლევის მასშტაბების გაფართოება, როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის დონეზე, რაც უფრო სისტემურად და სრულად წარმოაჩენს შრომის ბაზრის მოთხოვნებს;
2. რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა გაცნობის და განმტკიცების ნაწილში, კერძოდ დაკონკრეტდეს და რუკაზე სრულად აისახოს პროგრამის რომელი კომპონენტები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების გაცნობას და განმტკიცებას;
3. რეკომენდებულია, პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებული იქნეს განათლების ფსიქოლოგიის და მარკეტინგის მენეჯმენტის სასწავლო კურსები, რისთვისაც საჭირო იქნება მოცემული სასწავლო კურსების სტატუსის ცვლილება, რადგან ისინი პროგრამაში წარმოდგენილია როგორც არჩევითი სასწავლო კურსები;

4. რეკომენდებულია სასწავლო კურსში „კვლევის სტატისტიკური მეთოდები“ გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება, რათა სტუდენტებს ქონდეთ მეტი წვდომა დარგის უახლეს მიღწევებზე, თუნდაც კვლევის სტატისტიკური მეთოდებში რომელიმე ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებაზე (მაგ. SPSS). ხოლო, სასწავლო კურსში „პროექტის მართვა და ფონდების მოზიდვა განათლებაში“ თანამდეროვე გამოწვევების შესაბამისად უპრიანია გამოყენებული იქნეს პროექტების მართვის რომელიმე თანამედროვე ტექნოლოგიური ინსტრუმენტი (მაგ. Ms Project, Trello და სხვა);
5. რეკომენდებულია, პროგრამის კვლევით კომპონენტზე - სამაგისტრო ნაშრომზე დაშვება მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტების ათვისების შემდეგ;
6. რეკომენდებულია პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტზე - პროფესიული პრაქტიკა 1 და პროფესიული პრაქტიკა 2 დაშვება მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტების ათვისების შემდეგ;
7. რეკომენდებულია გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წარმოდგენილი წესი, კერძოდ კი გაუქმდეს ნაშრომის შეფასებისას რეცენზენტის შეფასებისა და დაცვის კომისიის შეფასებისთვის დაწესებული მინიმალური კომპეტენციების ზღვარი და სამაგისტრო ნაშრომი შეფასდეს ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3-ის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული სისტემით;
8. რეკომენდებულია პერიოდულად მომზადდეს პროგრამის ერთიანი ანგარიში შიდა ხარისხის შეფასების შედეგებისა და განხორციელებული ცვლილებების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს დაგეგმილი ცვლილებების განხორციელებას და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ეფექტურ კონტროლს.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1. სასურველია პროგრამის მიზანში მეტად გამახვილდეს ყურადღება იმ ფაქტზე, რომ პროგრამა ორიენტირებულია ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურზე ადმინისტრირების სპეციალისტების მომზადებაზე;
2. სასურველია პროგრამის მენეჯმენტმა იფიქროს პროგრამის სტრუქტურაში მენეჯერული აღრიცხვის სასწავლო კურსის სავალდებულო სახით შეთავაზებაზე, რაც კიდევ უფრო გაუძლიერებს პროგრამის სტუდენტებს მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების უნარებს;
3. სასურველია პროგრამის სტრუქტურაში კურსის შინაარსის და სტრუქტურის გათვალისწინებით განხორციელდეს ორი სასწავლო კურსის “კვლევის მეთოდები განათლებაში” და “კვლევის სტატისტიკური მეთოდები”, ჩამოყალიბება ერთ სასწავლო კურსად, რაც პროგრამაში გარკვეული ცვლილებებისთვისაც გამოათავისუფლებს ადგილს.
4. სასურველია, სასწავლო კურსებისთვის შედგენილი რიდერები განთავსდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

5. სასურველია, პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტების საქმიანობა შეფასდეს, ან მოქნილი მონიტორინგი გაუკეთდეს პრაქტიკის განხორციელების ადგილზე;
6. სასურველია ზოგიერთ სასწავლო კურსში გამოყენებული შეფასების კომპონენტების და მეთოდების არჩევისას მეტად იქნეს გათვალისწინებული კონკრეტული კურსის სპეციფიკა, მაგალითად სასწავლო კურსში „სტრატეგიული მენეჯმენტი“ უმჯობესია გამოყენებული იქნეს ე.წ. ისეთი შემთხვევის ანალიზი, რომლებიც ასახავენ საგანმანათლებლო ორგანიზაციების სპეციფიკას;
7. სასურველია დაწესებულებამ გააქტიუროს მოქმედება ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით და მეტად იზრუნოს უნივერისტეტში შემუშავებული ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ფარგლებში პროგრამის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართულობაზე;
8. სასურველია ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის განსაზღვრისა და ნაშრომის შესრულების არსებული სტანდარტის სრულფასოვანი გათვალისწინების ასპექტებს;
9. სასურველია პროგრამის ბიუჯეტში უფრო დეტალურად ჩაიშალოს პროგრამის განხორციელებასა და განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები;
10. სასურველია პროგრამას თან ახლდეს დეტალური ანგარიში აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ;
11. სასურველია ანალოგი პროგრამების ანალიზის დროს უსდ-მ მეტად წარმოაჩინოს თუ როგორ არის პროგრამაში გათვალისწინებული საერთაშორისო პრაქტიკა ან რის გაუმჯობესებას გეგმავს მასზე დაყრდნობით მომავალში;
12. სასურველია გამოკითხვის შედეგების ანალიზი იყოს უფრო ინფორმატიული, რისთვისაც კარგი იქნება დაიხვეწოს გამოკითხვის არსებული ფორმები და შედეგების ანალიზში ნათლად იყოს გამოკვეთილი ხარისხის სამსახურის შეფასება მიღებულ შედეგებთან მიმართებით.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

1. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დახვეწილი ელექტრონული სისტემა, რომელსაც შეუძლია უსდ-ს გამოკითხვისა და აკადემიური მოსწრების მონაცემების მიზნობრივი დამუშავება, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განხორციელებას.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამამ პირველი აკრედიტაცია მიიღო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2012 წლის 12 მარტის #46 გადაწყვეტილებით. 2020 წელს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს #54 გადაწყვეტილებით პროგრამამ მიიღო პირობითი აკრედიტაცია 2021 წლის 27 სექტემბრამდე. ხოლო, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 29 ოქტომბერის სხდომაზე პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე, რის შემდეგაც პროგრამამ განაგრძო ფუნქციონირება ავტორიზაციის რეჟიმში. შესაბამისად განხორციელდა პროგრამის მოდიფიკაცია შედეგი მიმართულებებით;

- გაძლიერდა პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული, კერძოდ პროგრამას დაემატა შემდეგი სასწავლო კურსები: „სტრატეგიული მენეჯმენტი“, „აკადემიური წერა მაგისტრანტთათვის“, „რისკების მართვა განათლებაში“;
- დაიხვეწა გარკვეული სასწავლო კურსები: „ფინანსები განათლებაში“ ჩანაცვლდა სასწავლო კურსით „საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების მოდელები და საბიუჯეტო პროცესი“, „განათლების სფეროში საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები“ ჩანაცვლდა კურსით „განათლების საკანონმდებლო უზრუნველყოფა“, „ხარისხის მართვა განათლებაში“ - კურსით „ხარისხის მართვა უმაღლეს განათლებაში“ და სხვა.
- გაიზარდა პროფესიული პრაქტიკის მოცულობა;
- გაფართოვდა არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალი;
- განახლდა პროგრამაში გამოყენებული ლიტერატურა;

- **ინფორმაცია დაწესებულების მხრიდან ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე.**

ვინაიდან დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს, შესაბამისად დასკვნაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. აღნიშნული პროგრამის ამოქმედებას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საფუძვლად დაედო USAID-ს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბსუ-ს შორის 2011 წელს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა კალიფორნიის ლოს-ანჟელესის უნივერსიტეტის გამოცდილება. წარმოდგენილი პროგრამის მიზანია მოამზადოს ისეთი მაგისტრები რომლებიც აღჭურვილი იქნებიან მენეჯმენტისა და ადმინისტრირების, განათლების სფეროს სპეციფიკის, მათი ადმინისტრირების თავისებურებების შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნით და შეძლებენ დაიკავონ საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯმენტში ადგილები ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურის სახელმწიფო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პროგრამის მიზანი რეალისტური და მიღწევადია და ხაზს უსვამს იმ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს რომელიც უნდა გააჩნდეთ პროგრამის კურსდამთავრებულებს. განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან და სტრატეგიულ მიზნებთან, კერძოდ უნივერსიტეტის მისიაა ,,მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, ჩამოყალიბდეს ძლიერ საგანმანათლებლო-კვლევით ცენტრად და მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში“, შესაბამისად მისიისა, განსაზღვრულია დაწესებულების სტრატეგიული მიზნებიც, მათ შორის არის: ,,უნივერსიტეტში მიღებული განათლება უნდა იყოს თანამედროვე სტანდარტების, მაღალი აკადემიური ხარისხის და დასაქმებაზე ორიენტირებული“. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ პროგრამის მიზნები პირდაპირ არის დაკავშირებული და სრულ თანხვედრაშია დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ მიზნებთან.

ამასთან, აქვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ ცხადია, პროგრამა თავისი შინაარსით, სწავლის შედეგებით, დასაქმების სფეროებით ორიენტირებულია ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურზე ადმინისტრირების სპეციალისტების მომზადებაზე. თუმცა, უშუალოდ პროგრამის მიზანში გამოყენებულია ტერმინი განათლების სფერო და მისი დაწესებულებები, რაშიც ცხადია იგულისხმება, როგორც ზოგადი და უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებები, ისე ადრეული და სკოლამდელი აღზრდის ან თუნდაც პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები. გამომდინარე აქედან, პროგრამის მიზნის მეტი სიცხადის უზრუნველსაყოფად, სასურველია პროგრამის მიზანშივე მეტად გამახვილდეს ყურადღება იმ ფაქტზე, რომ პროგრამა ორიენტირებულია ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურზე ადმინისტრირების სპეციალისტების მომზადებაზე.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიზნები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ასახავს ბაზარზე არსებულ ძირითად ტენდენციებს. წარმოდგენილ პროგრამას თან ახლავს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „განათლების ადმინისტრირება“ დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი, სადაც წარმოდგენილია ძირითადად რეგიონის დონეზე დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგების ანალიზი. დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუებით დადგენდა, რომ კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა მიზნობრივი შერჩევის ტექნიკა, კერძოდ ძირითადად კვლევაში ჩართული იქნა ის დაწესებულებები (24 დაწესებულება), სადაც მენეჯერულ პოზიციებზე დასაქმებულნი არიან ,,განათლების ადმინისტრირების“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები. ცხადია, აღნიშნული დეტალი იძლევა კონკრეტული, დაზუსტებული ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას, რაც ჩანს წარმოდგენილი კვლევის შედეგების ანალიზშიც. თუმცა, საჭიროა აღნიშნული კვლევის მასშტაბების გაფართოება, რადგან თუნდაც რეგიონის დონეზე პოტენციური დამსაქმებლების რაოდენობა საკმაოდ დიდია (200 ზე მეტი პოტენციური დამსაქმებელი). შესაბამისად, ცხადია რომ აღნიშნული დეტალის გათვალისწინება კიდევ უფრო სისტემურად და სრულად წარმოაჩენდა შრომის ბაზრის მოთხოვნებს. განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები კარგად არის გაზიარებული პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის, პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების და პოტენციური დამსაქმებლების მიერ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუ პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულ პირებთან;
- უნივერსიტეტის მისია - https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_7813_2.pdf

რეკომენდაციები:

- o რეკომენდებულია შრომის ბაზრის კვლევის მასშტაბების გაფართოება, როგორც რეგიონის, ისე ქვეყნის დონეზე, რაც სისტემურად და სრულად წარმოაჩენს შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- o სასურველია პროგრამის მიზანში მეტად გამახვილდეს ყურადღება იმ ფაქტზე, რომ პროგრამა ორიენტირებულია ზოგადი და უმაღლესი განათლების საფეხურზე ადმინისტრირების სპეციალისტების მომზადებაზე;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია 9 სწავლის შედეგის სახით, სადაც კარგად არის აღწერილი ის ძირითადი ცოდნა, უნარები, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა რასაც მიიღებს აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული. პროგრამის სწავლის შედეგები ორიენტირებულია როგორც ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრირების საკითხების ღრმა და სისტემურ ცოდნაზე, ისე პროგრამის სტუდენტებისთვის კვლევითი უნარების,

სამეცნიერო ნაშრომის წერის, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმების დაცვის უნარების ისეთ დონეზე განვითარებაზე, რითაც შეძლებენ შეიმუშავონ საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების სტრატეგია, დაგეგმონ პროექტები, შეაფასონ განათლების სფეროს გამოწვევები და რისკები, დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან, რადგანაც ის კონტენტი რაც წარმოდგენილია პროგრამის სწავლის შედეგებში, სწორედ მასზე ორიენტირებული პროგრამის მიზნები და მათი განხორციელება სწორედ აღნიშნული შედეგების დადგომაზე გადის. პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია ბლუმის ტაქსონომიური აქტიური ზმნების გამოყენებით, რაც ცხადია აადვილებს პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვას. გარდა ამისა წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა რეალისტურია, რადგან პროგრამის მიზნები, შინაარსი, გამოყენებული სწავლა-სწავლების, შეფასების მეთოდები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის კვალიფიკაცია და დაწესებულების გამოცდილება წარმოადგენს აღნიშნული დასკვნის საფუძველს. გარდა ამისა, პროგრამას თან ახლავს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, სადაც წარმოდგენილია კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებს შორის. როგორც წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების რუკიდან ირკვევა, პროგრამის სწავლის შედეგები ვითარდება ლოგიკით: გაცნობა-გაღრმავება-განმტკიცება, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში აღნიშნული ლოგიკა დარღვეულია. მაგალითად, ბუნდოვანია რომელი სასწავლო კურსი უზრუნველყოფს 1.2, 1.3, 1.4, 2.1, 2.2, 2.3 და 3.2 სწავლის შედეგების გაცნობას, ასევე ბუნდოვანია სამაგისტრო ნაშრომი და პრაქტიკის კომპონენტი რატომ არ უზრუნველყოფს პროგრამის ყველა სწავლის შედეგის განმტკიცებას და რატომ არის მხოლოდ რამდენიმე სწავლის შედეგზე ორიენტირებული, მაშინ როდესაც ლოგიკურად პროგრამის კვლევითი და პრაქტიკის კომპონენტის წინაპირობად მათი შინაარსი და სპეციფიკის გათვალისწინებით პროგრამის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი მოიაზრება. გამომდინარე აქედან, მიგვაჩნია რომ რეკომენდებულია გადახედილი იქნეს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა გაცნობის და განმტკიცების ნაწილში, კერძოდ დაკონკრეტდეს პროგრამის რომელი კომპონენტები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების გაცნობას და განმტკიცებას.

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები ახდენს ღრმა და სისტემური ცოდნის ფორმირებას ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო და-წესებულებების ადამიანური და ფინანსური რესურსების მართვის თეორიებში, განათლების სფეროს სამართლებრივ საფუძვლებში, სტრატეგიულ მენეჯმენტში, ორგანიზაციულ ქცევაში, კვლევის მეთოდებში, სამეცნიერო ნაშრომის წერაში, აკადემიური კეთილსინდისიერებისა და ეთიკის ნორმების დაცვაში; შეიმუშავებს საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარების სტრატეგიას, გეგმავს პროექტებს საგანმანთლებლო სფეროში და ახდენს მათ განხორციელება-შეფასებას; აანალიზებს და აფასებს განათლების სფეროს გამოწვევებს რისკების, უწყვეტი განვითარებისა და ეფექტიანობის გათვალისწინებით, ახდენს მათ იდენტიფიცირებას; დამოუკიდებლად იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებებს პროფესიული ეთიკისა და

სამართლებრივი რეგულაციების გათვალისწინებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის (მაგისტრატურა) დონეს და შესაბამისობაშია განათლების ადმინისტრირების მაგისტრის მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების მოთხოვნებს, რაც დასტურდება პროგრამის დამსაქმებლების კვლევის შედეგების ანალიზით. პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება როგორც დარგის სპეციფიკას, ისე ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ხელს უწყობს პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმებას პროფილის მიხედვით. აღსანიშნავია, ისიც რომ პროგრამის შემუშავებაში ჩართულია როგორც პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისე პროგრამის სტუდენტები, კურსდამთავრებულები და პოტენციური დამსაქმებლები. აღნიშნული დასტურდება ინტერვიუებით, სადაც პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირები ადასტურებდნენ რომ იცნობდნენ პროგრამას და მსჯელობდნენ პროგრამის სხვადასხვა ასპექტებზე.

უნივერსიტეტში შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომლის მიხედვითაც პროგრამის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული, ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად, ვალდებულია სისტემატურად აწარმოოს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მიზნით, სათანადო მონაცემების შეგროვება და ანალიზი. წარმოდგენილ პროგრამას თან ახლავს სწავლის შედეგების შეფასების გეგმა, სადაც დეტალურად არის გაწერილი თუ როგორ ხდება თითოეული სწავლის შედეგის შეფასება, რომელი კომპონენტით, შეფასების რა მეთოდების გამოყენებით, რა ინტენსივობით და რა მექანიზმებით უნდა მოხდეს მათი შეფასება. პროგრამის სწავლის შედეგების გეგმაში წარმოდგენილია პროგრამის სამიზნე ნიშნულები, რომლებიც აღწერს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სასურველ დონეს. ცალკეული სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირი ვალდებულია შესაბამისი სემესტრის ბოლოს მიაწოდოს დეტალური სტატისტიკური მონაცემები, პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ს. პროგრამის ხელმძღვანელი აგროვებს ასევე სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის მონაცემებს, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამის დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფთან (სტუდენტი, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი) ინტერვიუს. წარმოდგენილი გეგმის მიხედვით აღნიშნული მონაცემები უნდა შედარდეს პროგრამის სამიზნე ნიშნულებთან და 10%-ზე მაღალი გადახრის შემთხვევაში მოხდეს საკითხის შესწავლა და საჭიროების შემთხვევაში დაიგეგმოს კონკრეტული ღონისძიებები არსებული მდგომარეობის გამოსასწორებლად. ვინაიდან, პროგრამის სწავლის შედეგები ახალი შემუშავებულია, ჯერჯერობით არ მომხდარა აღნიშნული მექანიზმის გამოყენება, თუმცა პროგრამის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამაში განხორციელებულია გარკვეული ცვლილებები. მაგალითად, პროგრამის სწავლის შედეგების არაპირდაპირი მეთოდის გამოყენების შედეგად, კერძოდ კი პროგრამის

კურსდამთავრებულების და პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების კვლევის შედეგების საფუძველზე, დაინერგა სასწავლო პრაქტიკის გავლა სკოლებში. გარდა, ამისა პროგრამაში გაიზარდა პრაქტიკული სწავლების მეთოდოლოგიის გამოყენება ცალკეული სასწავლო კურსების ფარგლებში, პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო სასწავლო კურსის სახით დაემატა პროექტების მართვის და ფონდების მოზიდვა განათლებაში სასწავლო კურსი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია რომ დაწესებულება პერმანენტულად ახორციელებდა არსებული მექანიზმების გამოყენებით პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას და მის გამოყენებას პროგრამის გასაუმჯობესებლად. ამასთან, ინტერვიუებით გაირკვა რომ მომდევნო ეტაპზე პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოყენებული იქნება სწავლის შეფასების დღეისათვის მოქმედი მექანიზმი, რაც ასახულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების წარმოდგენილ გეგმაში. აღსანიშნავია, ისიც რომ პროგრამის სტუდენტები პერმანენტულად იღებენ ინფორმაციას განმსაზღვრელი თუ განმავითარებელი შეფასებების ფორმატში სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ, აღნიშნული ფაქტი დასტურდება პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და პროგრამის სტუდენტებთან ინტერვიუებით.
მტკიცებულებები ინდიკატორები o განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; o პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; o პროგრამის სწავლის შედეგების რუკა; o პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა; o დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი; o ინტერვიუ პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულ პირებთან; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.bsu.edu.ge/
რეკომენდაციები: o რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა გაცნობის და განმტკიცების ნაწილში, კერძოდ დაკონკრეტდეს და რუკაზე სრულად აისახოს პროგრამის რომელი კომპონენტები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების გაცნობას და განმტკიცებას.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის №59 დადგენილებით „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული დადგენილების თანახმად, სამაგისტრო პროგრამაზე ჩაირიცხებიან ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირები, რომელთაც წარმატებით ჩააბარეს საერთო სამაგისტრო გამოცდა, ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში დარეგისტრირდნენ ბსუ-ში მაგისტრანტობის კანდიდატად და სრულყოფილად წარმოადგინეს ბსუ-ს რექტორის

ბრძანებით განსაზღვრული დოკუმენტაცია. პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია შიდა და გარე მობილობითაც.

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის აუცილებელია შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების ჩაბარება ინგლისურ ენასა და სპეციალობაში. აპლიკანტმა გამოცდის ჩაბარებით უნდა დაადასტუროს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. სპეციალობის გამოცდის ფორმატის შესახებ ინფორმაცია უნივერსიტეტის ვებგვერდზეა გამოქვეყნებული. გამოცდა ზეპირია და რამდენიმე ნაწილისგან შედგება: მოტივაციური გასაუბრება/ინტერვიუ; სკოლამდელი/ზოგადი/პროფესიული/უმაღლესი განათლების საფეხურის დახასიათება - პრობლემებისა და პერსპექტივების ანალიზი; პედაგოგიური სიტუაციის/შემთხვევის ანალიზი; ღია კითხვები. თითოეული ნაწილისთვის გაწერილია შეფასების კრიტერიუმები. სპეციალობაში და უცხო ენაში გამოცდა უზრუნველყოფს პროგრამაზე შესაბამისი კვალიფიკაციის პირების დაშვებას, რომლებიც პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ შეძლებენ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მიღებას. ამრიგად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ლოგიკურია და შეესაბამება როგორც პროგრამის შინაარს, ისე პროგრამის მოსალოდნელ სწავლის შედეგებს და პროგრამით გათვალისწინებულ მისანიჭებელ კვალიფიკაციას. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებამდე უნივერსიტეტი აპლიკანტებს სთავაზობს საკონსულტაციო შეხვედრას.

როგორც პროგრამის თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. 2021 წელს 15 ადგილი გამოცხადდა, ჩარიცხვის მსურველი კი 47 ადამიანი იყო. ამჟამად პროგრამაზე მისაღები კონტიგენტია არაუმეტეს 30 სტუდენტისა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გასაგებად და დეტალურად აღწერილია „პროგრამაზე დაშვების წინაპირობასა“ და „სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „განათლების ადმინისტრირება“ მიღების წესში“. პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის №59 დადგენილება „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“.
- განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა - პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „განათლების ადმინისტრირება“ მიღების წესი (https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_400_3.pdf);
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.bsu.edu.ge/

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია ბსუ-ში მოქმედი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის შესაბამისად (15/06/2017, აკადემიური საბჭოს დადგენილება #37). აღნიშნული წესის შესაბამისად განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისათვის მომზადების მიზნით, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით და აკადემიური საბჭოს თანხმობით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი რომელშიც შედიოდნენ: საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, შესაბამისი აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია 120 ECST მოცულობით, რომელიც გაწერილია 2 აკადემიურ წელზე (4 სემესტრი). პროგრამის სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით: ▪ 75 კრედიტი სავალდებულო სასწავლო კურსები (მათ შორის 10 კრედიტი პროფესიული პრაქტიკა); ▪ 15 კრედიტი - არჩევითი კურსები; ▪ 30 კრედიტი - სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი (სამაგისტრო ნაშრომი).

პროგრამის სტრუქტურა და მოცულობა შეესაბამება უმაღლესი განათლების მეორე საფეხურს (მაგისტრატურა). პროგრამაში სათანადო პროპორციით არის წარმოდგენილი, როგორც პროგრამის სავალდებულო კომპონენტები (სასწავლო, კვლევითი და პრაქტიკული), ისე პროგრამა მოიცავს არჩევით კომპონენტს, რაც ხელს უწყობს პროგრამის სტუდენტების აკადემიური თავისუფლების მასშტაბების გაზრდას.

პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების მოდული მოიცავს ისეთ სასწავლო კურსებს როგორიცაა: ორგანიზაციის მართვა, სტრატეგიული მენეჯმენტი, საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების მოდელები და საბიუჯეტო პროცესი, ადამიანური რესურსების მართვა, პროექტის მართვა და ფონდების მოზიდვა განათლებაში, განათლების საკანონმდებლო უზრუნველყოფა, ლიდერობა განათლებაში, აკადემიური წერა მაგისტრანტთათვის, კვლევის მეთოდები განათლებაში, კვლევის სტატისტიკური მეთოდები, ხარისხის მართვა უმაღლეს განათლებაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა მართვა და რისკების მართვა განათლებაში. აღნიშნული კურსებით დაფარულია ზოგადი და უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებების მენეჯმენტისა და ადმინისტრირების საკითხები, პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მეტწილად მიღწევას. შესაბამისად, სტრუქტურა და მისი შინაარსი იძლევა შესაძლებლობას პროგრამის სტუდენტს ქონდეს წვდომა დარგისათვის დამახასიათებელ ზოგიერთ თანამედროვე მიღწევებზე, რითაც პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე, გააფართოვოს არსებული ცოდნა და შეიძინოს საქმიანობის სფეროს უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა. ამასთან, მიგვაჩნია რომ ზემოთაღნიშნული შედეგების სრულად უზრუნველყოფისათვის საჭიროა პროგრამის სტრუქტურაში გარკვეული ცვლილებების განხორციელება, კერძოდ, საჭიროა არჩევითი სასწავლო კურსების მოდულიდან სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულში გადაინაცვლოს განათლების ფსიქოლოგიის სასწავლო კურსმა. ვინაიდან, აღნიშნულ სასწავლო კურსში თავმოყრილია ისეთი საკითხები (ბიჰევიორისტული და კოგნიტივისტური შეხედულებები სწავლის შესახებ, ჰუმანისტური განათლების კონცეფცია, მოტივაცია სწავლასა და სწავლებაში, ჩართულობა სწავლების პროცესში. მოტივაციის შენარჩუნების გზები, მოსწავლეთა განსხვავებები და სწავლის საჭიროებები, სწავლა და სწავლება. კულტურალური თავისებურებანი, ინკლუზიური განათლების პრინციპები და ა.შ.) რომელთა ცოდნა მნიშვნელოვანია ზოგადი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერებისათვის, რომელთა გამოშვებასაც პროგრამა უზრუნველყოფს. ასევე, მნიშვნელოვანია განათლების ადმინისტრირების მაგისტრი, რომელიც უნდა დასაქმდეს მენეჯმენტის საშუალო და მაღალ რგოლში ფლობდეს ცოდნას მარკეტინგის მიმართულებით, რადგანაც მარკეტინგი მის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების განუყოფელი ნაწილია და მის გარეშე მენეჯერს გაუჭირდება შედეგზე ორიენტირებული მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღება. ამრიგად, რეკომენდებულია, პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით

შეთავაზებული იქნეს განათლების ფსიქოლოგიის და მარკეტინგის მენეჯმენტის სასწავლო კურსები, რისთვისაც საჭირო იქნება მოცემული სასწავლო კურსების სტატუსის ცვლილება, რადგან ისინი პროგრამაში წარმოდგენილია როგორც არჩევითი სასწავლო კურსები.

ასევე მნიშვნელოვანია, ის ფაქტი რომ პროგრამის სტრუქტურა სავალდებულო სასწავლო კურსის სახით ითვალისწინებს ორგანიზაციის მართვის სასწავლო კურსს, სადაც წარმოდგენილია საკითხები მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების სპეციფიკის შესახებ, თუმცა ვფიქრობთ, რომ ვინაიდან პროგრამის კურსდამთავრებულებისთვის, როგორც ზოგადი და უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულებების საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერებისათვის, რომელთა მთავარი ვალდებულება მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღებაა, სასარგებლო იქნება მენეჯერული აღრიცხვის საკითხების კონცენტრირებულად მიწოდება. შესაბამისად, სასურველია პროგრამის მენეჯმენტმა იფიქროს პროგრამის სტრუქტურაში მენეჯერული აღრიცხვის სასწავლო კურსის სავალდებულო სახით შეთავაზებაზე, რაც კიდევ უფრო გაუძლიერებს პროგრამის სტუდენტებს მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების უნარებს. ამასთან, სასურველია პროგრამის სტრუქტურაში კურსის შინაარსის და სტრუქტურის გათვალისწინებით განხორციელდეს ორი სასწავლო კურსის „კვლევის მეთოდები განათლებაში“ და „კვლევის სტატისტიკური მეთოდები“, ჩამოყალიბება ერთ სასწავლო კურსად, რაც პროგრამაში გარკვეული ცვლილებებისთვისაც გამოათავისუფლებს ადგილს.

პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებს, რადგანაც იძლევა შესაძლებლობას, პროგრამის სტუდენტებმა შეძლონ მისი ათვისება და დადგენილი პროცედურების გავლის შემდეგ პროგრამით გათვალისწინებული მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოპოვება. პროგრამის სტრუქტურა ლოგიკური თანმიმდევრობით არის წარმოდგენილი და სრულდება პრაქტიკისა და კვლევითი კომპონენტის ათვისებით. ამასთან, აღსანიშნავია რომ პროგრამაში კვლევით კომპონენტზე - სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია მხოლოდ ორი სასწავლო კურსი (კვლევის მეთოდები განათლებაში და კვლევის სტატისტიკური მეთოდები), რაც აღნიშნული კომპონენტის შინაარსის, მიზნებისა და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში მისი როლის გათვალისწინებით (უზრუნველყოფს სწავლის შედეგების განმტკიცებას), ვერ ფარავს პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსების თუ პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში მისაღებ უნარებსა და კომპეტენციებს, რომელთა გარეშე სამაგისტრო ნაშრომის შესრულება არ იქნება ადექვატური. შესაბამისად, რეკომენდებულია, პროგრამის კვლევით კომპონენტზე - სამაგისტრო ნაშრომზე დაშვება მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო 75 კრედიტის ათვისების შემდეგ.

მიგვაჩნია, ასევე რომ იგივე მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული პროგრამის პრაქტიკის კომპონენტზე დაშვებისას. კერძოდ, არსებული მოცემულობით პროგრამა ითვალისწინებს ორ დამოუკიდებელ პრაქტიკის კომპონენტს: პროფესიული პრაქტიკა 1 (ხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში) და პროფესიული პრაქტიკა 2 (ხორციელდება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში). მასთან, პროფესიული პრაქტიკა 1-ის მიზანია - ,,კურსის

მიზანია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის (ორგანიზაციის მართვა და ადმინისტრირება, განათლების სფეროს სამართლებრივი საფუძვლები, განათლების პოლიტიკა, ხარისხის მართვა და კვლევის მეთოდოლოგია, ლიდერობა, კრიზისების მართვა და ა. შ) ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოყენების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება", ხოლო პროფესიული პრაქტიკა 2 მიზანია ,,კურსის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული თეორიული ცოდნის (ორგანიზაციის მართვა და ადმინისტრირება, განათლების სფეროს სამართლებრივი საფუძვლები, განათლების პოლიტიკა, ხარისხის მართვა და კვლევის მეთოდოლოგია, ლიდერობა, კრიზისების მართვა და ა. შ) უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამოყენების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება", რაც ცალსახად მიუთითებს იმაზე რომ პრაქტიკის ვერცერთი კომპონენტი ვერ განხორციელდება სრულყოფილად თუ მათზე დაშვების წინაპირობად არ განისაზღვრება პროგრამით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი. ამრიგად, რეკომენდებულია პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტზე - პროფესიული პრაქტიკა 1 და პროფესიული პრაქტიკა 2 დაშვება მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო 65 კრედიტის ათვისების შემდეგ.

პროგრამის სტრუქტურაში წარმოდგენილია არჩევითი სასწავლო კურსების მოდული, სადაც პროგრამის სტუდენტს არსებული მოცემულობით, შესაძლებლობა ეძლევა, 15 კრედიტის ფარგლებში, მისი ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო კურსების ფართო ჩამონათვალიდან აირჩიოს მისთვის სასურველი კურსი.

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებით და ინტერვიუებით ირკვევა, სამუშაო ჯგუფმა პროგრამის სააკრედიტაციოდ წარსადგენ ვერსიაზე მუშაობა დაიწყო 2021 წლის 4 დეკემბერს და საგანმანათლებლო პროგრამისა და აკრედიტაციის თვითშეფასების წარდგენა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისთვის განხორციელდა 2022 წლის 1 ივნისს. აღნიშნულ შუალედში პერმანენტულად იმართებოდა დაინტერსებული მხარეების (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები) ჩართულობით შეხვედრები პროგრამის სხვადსხვა ასპექტების შესახებ.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებულია პროგრამების კატალოგი, რომელიც ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერსებული პირისთვის, აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი (15/06/2017, ბსუ, აკადემიური საბჭოს დადგენილება

#37).

- დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- ინტერვიუ პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულ პირებთან;
- https://www.bsu.edu.ge/sub-29/program/2/index.html - საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.bsu.edu.ge/

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამაში სავალდებულო სასწავლო კურსების სახით შეთავაზებული იქნეს განათლების ფსიქოლოგიის და მარკეტინგის მენეჯმენტის სასწავლო კურსები, რისთვისაც საჭირო იქნება მოცემული სასწავლო კურსების სტატუსის ცვლილება, რადგან ისინი პროგრამაში წარმოდგენილია როგორც არჩევითი სასწავლო კურსები;
- რეკომენდებულია, პროგრამის კვლევით კომპონენტზე - სამაგისტრო ნაშრომზე დაშვება მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტების ათვისების შემდეგ;
- რეკომენდებულია პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტზე - პროფესიული პრაქტიკა 1 და პროფესიული პრაქტიკა 2 დაშვება მოხდეს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო კომპონენტების ათვისების შემდეგ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამის მენეჯმენტმა იფიქროს პროგრამის სტრუქტურაში მენეჯერული აღრიცხვის სასწავლო კურსის სავალდებულო სახით შეთავაზებაზე, რაც კიდევ უფრო გაუძლიერებს პროგრამის სტუდენტებს მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების უნარებს;
- სასურველია პროგრამის სტრუქტურაში კურსის შინაარსის და სტრუქტურის გათვალისწინებით განხორციელდეს ორი სასწავლო კურსის კვლევის მეთოდები განათლებაში და კვლევის სტატისტიკური მეთოდები, ჩამოყალიბება ერთ სასწავლო კურსად, რაც პროგრამაში გარკვეული ცვლილებებისთვისაც გამოათავისუფლებს ადგილს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ცალკეული კურსების შედეგები ერთად ქმნის პროგრამის სწავლის საბოლოო შედეგებს. პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსების სწავლის შედეგებს. სავალდებულო სასწავლო კურსები შეესაბამება პროგრამის შინაარსს და ორიენტირებულია დარგობრივი კომპეტენციებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის განვითარებაზე.

სასწავლო კურსების სილაბუსების დახვეწაში მონაწილეობას იღებდა ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სამუშაო ჯგუფი. როგორც სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ანგარიშიდან ჩანს, ჯგუფმა დეტალურად განიხილა თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები და განსაზღვრა კრედიტები, განიხილა სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდები, სასწავლო კურსის სილაბუსები და თითოეული სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურა.

სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა, ძირითადად, შერჩეულია დარგის სიახლეებიდან გამომდინარე, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მაგალითად, სასწავლო კურსში „კვლევის სტატისტიკური მეთოდები“ რეკომენდებულია გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება, რათა სტუდენტებს ქონდეთ მეტი წვდომა დარგის უახლეს მიღწევებზე, თუნდაც კვლევის სტატისტიკური მეთოდებში რომელიმე ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებაზე (მაგ. SPSS). ხოლო, სასწავლო კურსში „პროექტის მართვა და ფონდების მოზიდვა განათლებაში“ თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად უპრიანია გამოყენებული იქნეს პროექტების მართვის რომელიმე თანამედროვე ტექნოლოგიური ინსტრუმენტი (მაგ. Ms Project/Trello და სხვა);

ამასთან, თითოეული სასწავლო კურსის ძირითადი ლიტერატურა განთავსებულია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, ხოლო რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში ერთ-ერთ წყაროდ მითითებული ლექტორის მიერ მომზადებული სალექციო კურსი/რიდერის ელ. ვერსია განთავსებულია უნივერსიტეტის ელ.სასწავლო პორტალზე. მაგალითად, კურსების ნაწილში (პროექტის მართვა და ფონდების მოზიდვა განათლებაში, რისკების მართვა განათლებაში,

საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლასა და სწავლებაში) მომზადებულია სალექციო კურსის / რიდერის ელექტრონული ვერსია. აღნიშნული რიდერები არ არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, თუმცა ისინი კურსზე რეგისტრაციის შემდეგ ელექტრონული პორტალის საშუალებით მიეწოდება სტუდენტს, რაც დადასტურდა ინტერვიუებით. აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის სტუდენტებისათვის გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობას, თუმცა, უმჯობესია, აღნიშნული რიდერების ნაბეჭდი ვერსიებიც ინახებოდეს ბიბლიოთეკაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; o განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სილაბუსები; o პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; o ინტერვიუ პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულ პირებთან; o უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსები; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.bsu.edu.ge/
რეკომენდაციები: o რეკომენდებულია სასწავლო კურსში „კვლევის სტატისტიკური მეთოდები“ გამოყენებული სავალდებულო ლიტერატურის განახლება, რათა სტუდენტებს ქონდეთ მეტი წვდომა დარგის უახლეს მიღწევებზე, თუნდაც კვლევის სტატისტიკური მეთოდებში რომელიმე ტექნოლოგიური ინსტრუმენტების გამოყენებაზე (მაგ. SPSS). ხოლო, სასწავლო კურსში „პროექტის მართვა და ფონდების მოზიდვა განათლებაში“ თანამედროვე გამოწვევების შესაბამისად უპრიანია გამოყენებული იქნეს პროექტების მართვის რომელიმე თანამედროვე ტექნოლოგიური ინსტრუმენტი (მაგ. Ms Project, Trello და სხვა)
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სასურველია, სასწავლო კურსებისთვის შედგენილი რიდერები განთავსდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან **✓ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა თეორიული ცოდნის გადაცემასთან ერთად უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო-კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შესაბამისად პრაქტიკული და კვლევის უნარების გასავითარებლად, კურსების სილაბუსებში გათვალისწინებულია თეორიული სწავლისა და პრაქტიკული მუშაობის თანაფარდობა. ამ უნარების მისაღწევად თითოეული სასწავლო კურსი ითვალისწინებს შესაბამის მეთოდებსა და აქტივობებს.

პროგრამაში სავალდებულო სტატუსი გააჩნია პრაქტიკას, რომელიც მოიცავს 10 კრედიტს – პროფესიული პრაქტიკა 1 (5 კრედიტი) და პროფესიული პრაქტიკა 2 (5 კრედიტი). პროფესიული პრაქტიკა 1 არის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში პრაქტიკა, პროფესიული პრაქტიკა 2 კი უნივერსიტეტში პრაქტიკა. შესაბამის სილაბუსებში გაწერილია აქტივობები, რომელიც უნდა შეასრულოს სტუდენტმა პრაქტიკისთვის განკუთვნილ საგანმანათლებლო დაწესებულებაში. სტუდენტები მემორანდუმის საფუძველზე პროფესიულ პრაქტიკა 1-ს გადიან აჭარის რეგიონის სკოლებში, პროფესიულ პრაქტიკა 2-ს კი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ბათუმის სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. პრაქტიკის დროს სტუდენტები დაწესებულებების მმართველებისგან აიღებენ ინტერვიუებს, დაესწრებიან სხვადასხვა სახის აქტივობებს, დააკვირდებიან სასწავლო პროცესს, სასწავლო გარემოს; პრაქტიკულ გამოცდილებას დააგროვებენ რესურსების (ადამიანური, ფინანსური, მატერიალური) მართვის, ლიდერობის, ორგანიზაციული მართვის და მენეჯმენტის ასპექტების შესახებ. დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე სტუდენტები წერენ რეფლექსიებს და კურსის ბოლოს წარმოადგენენ პორტფოლიოს პრეზენტაციას.

პრაქტიკის ფარგლებში შესაძლებელია პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარება. უნივერსიტეტს მემორანდუმები აქვს გაფორმებული აჭარის რეგიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრებთან, საჯარო და კერძო სკოლებთან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

მემორანდუმებში დეტალურადაა გაწერილი მხარეთა ვალდებულებები და მათი თანამშრომლობის პერსპექტივები. მათ შორის, მემორანდუმის მუხლი 2-ის 2.3ა პუნქტის თანახმად: დაწესებულებები

მოაწყობენ ერთობლივ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, სემინარებს, ტრენინგებს და სამუშაო შეხვედრებს განათლების სფეროს თანამედროვე პრობლემებსა და განათლების მართვის საკითხებზე. ამავე მემორანდუმის მუხლი 2-ის 2.3ბ პუნქტის მიხედვით: უზრუნველყოფილი იქნება მხარეთა შორის თანამშრომლობა და სტუდენტთა მიერ პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკის კომპონენტის გავლა. პრაქტიკის სილაბუსების მიხედვით, სტუდენტის შეფასება არ ხდება პრაქტიკის განხორციელების ადგილზე, ანუ სტუდენტი ფასდება მხოლოდ მის მიერ უნივერსიტეტში წარმოდგენილი რეფლექსიებისა და პორტფოლიოს საფუძველზე პრაქტიკის ხელმძღვანელის მიერ. კარგი იქნება, თუ ამ შეფასებას დაემატება პრაქტიკის ადგილას სტუდენტის საქმიანობის რაიმე სახით შეფასება ან გააქტიურდება მონიტორინგის პროცესი. სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარებას პრაქტიკასთან ერთად ხელს უწყობს სხვადასხვა სასწავლო კურსები, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია პრაქტიკის კვლევა, რომელიც პრაქტიკასთან ერთად სტუდენტს კვლევის უნარებსაც უვითარებს. აღნიშნული კურსის მიზანია, რომ სტუდენტმა თვითონ შეძლოს პრაქტიკის/სამოქმედო კვლევის დაგეგმვა და კვლევის ანგარიშის წარმოდგენა. სტუდენტებს კვლევის უნარების განვითარებაში ხელს უწყობს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაც. ამ კომპონენტისთვის გათვალისწინებული 30 კრედიტის ფარგლებში სტუდენტს შეეძლება ჩაატაროს კვლევა და წარმოადგინოს კვლევის შედეგები პრაქტიკულ-სამეცნიერო კონფერენციებზე. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში პერმანენტულად იმართება სტუდენტური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, იბეჭდება სტუდენტური ნაშრომები კრებულების სახით, რაც ხელს უწყობს სტუდენტებში სამეცნიერო-პრაქტიკული უნარების განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; o პროფესიული პრაქტიკის - 1, 2 და პრაქტიკის კვლევის კურსების სილაბუსები; o პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; o მემორანდუმები; o ინტერვიუ პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულ პირებთან; o უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსები; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.bsu.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სასურველია, პრაქტიკის განმავლობაში სტუდენტების საქმიანობა შეფასდეს, ან მოქნილი მონიტორინგი გაუკეთდეს პრაქტიკის განხორციელების ადგილზე;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის

შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით, თითოეული კურსის სწავლებისა და სწავლების მეთოდები შეესაბამება მაგისტრატურის აკადემიურ საფეხურს. კურსის მასწავლებელს გააჩნია აკადემიური თავისუფლება, რათა თავად განსაზღვროს სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელი მეთოდები და აქტივობები. სხვადასხვა საგნებში ძირითადად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და აქტივობები: (დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი სწავლება, კოოპერაციული მუშაობა (ჯგუფური და წყვილებში), პრობლემაზე / კვლევაზე დაფუძნებული სწავლება, სიტუაციური ამოცანები / შემთხვევის შესწავლა / ქეისის ანალიზი, გონებრივი იერიში, როლური თამაში / სიმულაცია, დემონსტრირების მეთოდი (პრეზენტაცია / პოსტერი, პორტფოლიო). აღნიშნული მეთოდები სტუდენტებზე ორიენტირებულია და ისინი სრულად შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსების შინაარსს, სწავლის შედეგებს. ამ მეთოდების სწორად შერჩევის მონიტორინგი ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში. სწავლა-სწავლების მეთოდების განხილვას დაეთმო ბსუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული სამუშაო ჯგუფის ერთ-ერთი შეხვედრა. კურსების სილაბუსების უმეტესობაში ჩანს სწავლების ინტერაქციული მეთოდების გამოყენება, რაც სტუდენტის ჩართულობას კარგად უზრუნველყოფს. უნივერსიტეტი განსაკუთრებულად ზრუნავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტების ჩართულობაზე. ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის #37 დადგენილებით „ბსუ-ს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასების და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი,

რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის დაგეგმვას სტუდენტების შესაძლებლობების, საჭიროებების და აკადემიური დონის გათვალისწინებით. უნივერსიტეტში ერაზმუს + CBHE-ის მხარდაჭერით ხორციელდება პროექტი „ინოვაციები კურიკულუმში სოციალური ჩართულობის მხარდასაჭერად“ (CISI). პროექტის ფარგლებში შეიძინეს სპეციალური აღჭურვილობა, ითარგმნა ლიტერატურა, გაიმართა ვებინარები ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; o პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; o CISI პროექტის ფარგლებში შეძენილი სპეც ტექნიკის ინვოისი; o CISI პროექტის ფარგლებში შეძენილი ლიტერატურა (შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტი); o ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან; o უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო რესურსები; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.bsu.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების და „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით. შესაბამისად, განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გამოყენებულია უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტის შეფასების სისტემა, რომელიც მორგებულია პროგრამის სპეციფიკაზე. პროგრამის სასწავლო კომპონენტში (სასწავლო კურსი, პრაქტიკა) სტუდენტის საბოლოო შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასებისა და დასკვნითი შეფასების ჯამს. სასწავლო კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, საიდანაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 60, ხოლო დასკვნით შეფასებას - 40 ქულა. პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებულია შეფასების შემდეგი კომპონენტები: წერითი გამოკითხვები (ტესტი, საშინაო დავალება, სიტუაციური ამოცანა და სხვა) და ზეპირი გამოკითხვები (დისკუსია, დებატები, პრეზენტაცია, აქტიურობა სემინარზე და სხვა). დასკვნითი შეფასების დროს ძირითადად გამოიყენება შეფასების შემდეგი ფორმები: დასკვნითი გამოცდა, პროექტი ან სხვა სახის შეფასება. პროგრამის ცალკეული კომპონენტის სილაბუსში გაწერილია შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმები და კრიტერიუმები. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 21 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 20 ქულა. თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების კომპონენტები და მეთოდები უზრუნველყოფს სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევა, თუმცა სასურველია ზოგიერთ სასწავლო კურსში გამოყენებული შეფასების კომპონენტების და მეთოდების არჩევისას მეტად იქნეს გათვალისწინებული კონკრეტული კურსის სპეციფიკა, მაგალითად სასწავლო კურსში სტრატეგიული მენეჯმენტი უმჯობესია გამოყენებული იქნეს ე.წ. ისეთი შემთხვევის ანალიზი, რომლებიც ასახავენ საგანმანათლებლო ორგანიზაციების სპეციფიკას. ინტერვიუების დროს გამოიკვეთა რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი თავად არჩევს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კონსულტაციებით სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებულ შეფასების კომპონენტებს და მეთოდებს. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს შეფასების გასაჩივრების მექანიზმი, რომელსაც იცნობენ

პროგრამის სტუდენტები და განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, თუმცა მისი გამოყენება იშვიათად ხდება. ინტერვიუებით დადგინდა, რომ ლექტორები შეფასების პროცესში აქტიურად იყენებენ ე.წ. განმავითარებელ შეფასებებს, აცნობენ სტუდენტებს მიღებული შეფასების ძლიერ და სუსტ მხარეებს, უწევენ კონსულტაციებს და ა.შ. რაც ცხადია ამცირებს გასაჩივრების მექანიზმების აქტიური გამოყენების საჭიროებას. პროგრამის სტუდენტებს სწავლის დაწყებისას ელექტრონული სასწავლო პორტალის გამოყენებით მიეწოდებათ სასწავლო კურსის სილაბუსი,

სადაც დეტალურად არის აღწერილი კურსის ფარგლებში გამოყენებული შეფასების კომპონენტები, ფორმები და მეთოდები. ბსუ-ში გამოიყენება აგრეთვე სტუდენტის/კურსდამთავრებულის შეფასების საშუალო მაჩვენებელი (GPA).

პროგრამის ფარგლებში კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის სახით, რომელიც ფასდება 100 ქულით. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების სისტემა წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში, სადაც მითითებულია რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება წარმოადგენს რეცენზენტის შეფასებისა (40 ქულა) და კომისიის შეფასებათა (60 ქულა) ჯამს და დაწესებულია მათი მინიმალური კომპეტენციების ზღვარი, კერძოდ რეცენზენტის შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 16 ქულა, ხოლო დაცვის კომისიის მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 25 ქულა და თუ რეცენზენტის ან დაცვის კომისიის შეფასებაში სამაგისტრო ნაშრომმა ვერ გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მაგისტრანტი ითვლება ჩაჭრილად და კარგავს იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას. ამ შემთხვევაშიც ვალდებულია თავიდან გაიაროს ეს კომპონენტი დადგენილი წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია რომ აღნიშნული ჩანაწერი ერთგვარ წინააღმდეგობაში მოდის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3-თან. აღნიშნული ბრძანების მე-4 და 4^2 მუხლის შესაბამისად სტუდენტის სასწავლო კომპონენტში შეფასებისას დაწესებულება ვალდებულია შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, თუმცა როცა საქმე ეხება სტუდენტის შეფასებას სამეცნიერო კვლევით კომპონენტში ანუ მოცემულ სიტუაციაში სამაგისტრო ნაშრომს, იგი უნდა შეფასდეს მთლიანობაში, ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, რომელიც მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული პირების შეფასებებსა და დაცვაზე მიღებულ შეფასებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია რომ დაწესებულების მიერ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წარმოდგენილი წესი ნაშრომის შეფასებისას მინიმალური კომპეტენციების ზღვრის დაწესებით, წინააღმდეგობაში მოდის არსებულ რეგულაციებთან. გამომდინარე აქედან, მიგვაჩნია რომ რეკომენდებულია გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წარმოდგენილი წესი, კერძოდ კი გაუქმდეს ნაშრომის შეფასებისას რეცენზენტის შეფასებისა და დაცვის კომისიის შეფასებისთვის დაწესებული მინიმალური კომპეტენციების ზღვარი და სამაგისტრო ნაშრომი შეფასდეს ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3-ის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული სისტემით.

აღსანიშნავია, რომ ბსუ-ში ფუნქციონირებს აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი, რომლის მიზანია ინტელექტუალური საკუთრების, საავტორო უფლებების, სამეცნიერო კვლევების წარმოების, ამ კვლევების შედეგების (ნაშრომი, სტატია, წიგნი, პროექტი ან სხვა პროდუქტი) გავრცელების პროცესში საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს სამართლებრივი აქტებით დადგენილი ეთიკური ნორმების და სტანდარტების აღიარება და დაცვა. დაწესებულება იყენებს აკადემიური არაკეთილსინდისიერების/პლაგიატის გამოვლენის (დეტექტირების) ელექტრონული

სისტემას (Turnitin), რომელიც ინტეგრირებულია ელექტრონული სწავლების Moodle-ის პლატფორმაზე. გამომდინარე აქედან, პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები მოწმდება აღნიშნული წესით და მიღებულ შედეგებზე ხდება ხელმღვანელის დასკვნის წარმოდგენა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; o პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; o ბსუ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი; o ბსუ, გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია; o ბსუ, აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის წესი; o ბსუ-ში ტურნიტინის პროგრამის ადმინისტრირების წესი; o ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან; o სტუდენტთა გზამკვლევი: https://www.bsu.edu.ge/main/page/2-269/index.html; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.bsu.edu.ge/
რეკომენდაციები: o რეკომენდებულია გადაიხედოს სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წარმოდგენილი წესი, კერძოდ კი გაუქმდეს ნაშრომის შეფასებისას რეცენზენტის შეფასებისა და დაცვის კომისიის შეფასებისთვის დაწესებული მინიმალური კომპეტენციების ზღვარი და სამაგისტრო ნაშრომი შეფასდეს ერთიანად - დასკვნითი შეფასებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის ბრძანება №3-ის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული სისტემით.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სასურველია ზოგიერთ სასწავლო კურსში გამოყენებული შეფასების კომპონენტების და მეთოდების არჩევისას მეტად იქნეს გათვალისწინებული კონკრეტული კურსის სპეციფიკა, მაგალითად სასწავლო კურსში სტრატეგიული მენეჯმენტი უმჯობესია გამოყენებული იქნეს ე.წ. ისეთი შემთხვევის ანალიზი, რომლებიც ასახავენ საგანმანათლებლო ორგანიზაციების სპეციფიკას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები სემესტრის დასაწყისში იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, პროგრამის ხელმძღვანელისაგან, აკადემიური პერსონალისაგან და ფაკულტეტის ადმინისტრაციისაგან სასწავლო პროცესის, კონკრეტული სასწავლო კურსების, შეფასების სისტემის და სხვა საკითხების შესახებ. სტუდენტები ელექტრონული სისტემის, ელ. პორტალის მეშვეობით პერმანენტულად იღებენ ინფორმაციას არსებული ვაკანსიების, სხვადასხვა ღონისძიებების შესახებ. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემაში გათვალისწინებულია სავალდებულო კონსულტაციები სტუდენტებთან. ინტერვიუებით დადგინდა რომ კონსულტაციების პროცესში აქტიურად გამოიყენება უნივერსიტეტში მოქმედი ელ.პორტალი.

უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციები, იბეჭდება სტუდენტური კონფერენციების კრებულები, როლებიც წარმოდგენილია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი, რომელიც აქტიურად ახდენს სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზებას სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს ერასმუსის პროგრამებთან, უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი მართავს საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართვის მიზნით, თუმცა როგორც ინტერვიუებით და წარმოდგენილი მასალებით გამოიკვეთა პროგრამის სტუდენტები იშვიათად ან საერთოდ არ სარგებლობენ აღნიშნული სერვისებით. გამომდინარე აქედან, მიგვაჩნია რომ სასურველია დაწესებულებამ გააქტიუროს მოქმედება აღნიშნული მიმართულებით და უზრუნველყოს უნივერისტეტში შემუშავებული ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიზნების აღსრულებაზე. განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს ასევე შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში ისარგებლონ ინდივიდუალური სასწავლო გეგმით (სამუშაო განრიგით), რომლის შედგენაში სტუდენტს ეხმარება პროგრამის ხელმძღვანელი და კონკრეტული დეპარტამენტის სპეციალისტი. აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესი, რომლის მიხედვითაც ბსუ–ს სტუდენტებს შესაძლებელია დაენიშნოთ შემდეგი სახის სტიპენდიები: ,,პირველსემესტრელის სტიპენდია“ - (ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით); ,,საფაკულტეტო სახელობითი სტიპენდია“ - ყოველთვიურად 150 ლარის ოდენობით; ,,საუნივერსიტეტო სახელობითი სტიპენდია“ - ყოველთვიურად 200 ლარის ოდენობით; ,,ავთანდილ ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია“ - სტიპენდია ენიშნება კონკურსის წესით შერჩეულ, უმაღლესი აკადემიური განათლების პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე 8 (რვა) სტუდენტს, სწავლის მეორე წლიდან (მესამე სემესტრიდან), ყოველთვიურად 190 (ასოთხმოცხდაათი) ლარის ოდენობით; ბსუ-ს გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტის ერთჯერადი სტიპენდია (საფუძველი - სტუდენტთა გზამკვლევის დანართი 4) - ბსუ-ს სტუდენტის მიერ უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში ათვისებული კრედიტების აღიარების შესაბამისად და სახელმწიფო სტიპენდია (საფუძველი- სტუდენტთა გზამკვლევის დანართი 35) - თვეში 150 ლარის ოდენობით. სტიპენდიების გაცემა ხორციელდება კონკურსის საფუძველზე, სადაც წინასწარ არის განსაზღვრული შეფასების პირობები და კრიტერიუმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; o პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;

- ბსუ, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ბსუ, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის კონსულტაციების განრიგი;
- ბსუ, სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესში;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა;
- ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის დებულება;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (სამუშაო განრიგის) შემუშავების
- სტუდენტური პორტალი: portal.bsu.edu.ge;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა - spm.bsu.edu.ge;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დაწესებულებამ გააქტიუროს მოქმედება ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით და უზრუნველყოს უნივერისტეტში შემუშავებული ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის ფარგლებში პროგრამის სტუდენტების გაცვლით პროგრამებში ჩართულობა;

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტი მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას. მაგისტრანტმა დამოუკიდებლად უნდა ჩაატაროს კვლევა და დაწეროს სამაგისტრო ნაშრომი კვალიფიციური პირის - ხელმძღვანელის მეთვალყურეობით. როგორც „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-16 მუხლში

ვკითხულობთ, სამაგისტრო ნაშრომის თემის შერჩევა ხდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე, სტუდენტის ინტერესებისა და თანამედროვე პრობლემატიკის გათვალისწინებით. სამაგისტრო ნაშრომის დასახელებას და ხელმძღვანელს დარგობრივი დეპარტამენტის წარდგინებით ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო, სწავლების მესამე სემესტრში.

სამაგისტრო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი შეიძლება იყოს ბსუ-ს პროფესორი / ასოცირებული პროფესორი ან დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ასისტენტ პროფესორი / სამეცნიერო თანამდებობის პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია სამაგისტრო ნაშრომის მიმართულებით.

სტუდენტებმა ინტერვიუს დროს განაცხადეს, რომ ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს დისერტაციის თემის შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. კვლევის პროცესში ხელმძღვანელები აწვდიან სტუდენტს რჩევებს თემისა და კვლევის მეთოდების შესახებ. კურსდამთავრებულებმაც აღნიშნეს, რომ ხელმძღვანელები ხშირად ატარებდნენ კონსულტაციებს სტუდენტებთან. პროგრამის ფარგლებში შესრულებული სამაგისტრო ნაშრომების დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ რამდენიმე სამაგისტრო ნაშრომში გამოყენებულია დამოწმებული არასამეცნიერო ლიტერატურა და პირადი ბლოგები. თუმცა, უნდა აღინიშნოს რომ აღნიშნული ფაქტი არის იშვიათი შემთხვევა (2 შემთხვევა), რომელიც დაფიქსირდა მხოლოდ კონკრეტულ ხელმძღვანელთან მიმართებით, რაც ცხადია გავლენას ვერ მოახდენდა საერთო სურათზე. გარდა ამისა, გამოიკვეთა, რომ მეტი ყურადღების გამახვილებაა საჭირო სამაგისტრო ნაშრომების თემატიკის განსაზღვრისას, რათა მაქსიმალურად დარჩეს ყველა ნაშრომის თემატიკა განათლების ადმინისტრირების ფარგლებში. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები ცხადია მოქცეულია განათლების ადმინისტრირების კონტექსტში, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში სასურველი იქნებოდა მათ სათაურებშივე ადმინისტრირების კომპონენტის მეტად გამოკვეთა. გამომდინარე აქედან, მიგვაჩნია რომ კარგი იქნება ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის განსაზღვრისა და ნაშრომის შესრულების არსებული სტანდარტის სრულფასოვნად გათვალისწინების ასპექტებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილება „ბსუ-ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“.

o პერსონალის CV; o სამაგისტრო ნაშრომები; o ინტერვიუები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სასურველია ხელმძღვანელებმა მეტი ყურადღება დაუთმონ სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისას სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის განსაზღვრისა და ნაშრომის შესრულების არსებული სტანდარტის სრულფასოვნად გათვალისწინების ასპექტებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას ემსახურება 31 აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აქედან, 28 ადამიანს უნივერსიტეტში უკავია სხვადასხვა აკადემიური თანამდებობები და წარმოადგენენ ბსუ-ს აკადემიურ პერსონალს: 5 პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი, 7 ასისტენტ პროფესორი, 1 ასისტენტი, მათ შორის უნივერსიტეტთან აფილირებულია 26 აკადემიური პერსონალი: 5 პროფესორი, 15 ასოცირებული პროფესორი, 5 ასისტენტ პროფესორი და 1 ასისტენტი. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მხოლოდ 3 მოწვეული აკადემიური პერსონალი. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი პროგრამაში ჩართულები არიან საქართველოს კანონმდებლობისა და ბსუ-ს რეგულაციების შესაბამისად, კერძოდ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება #04 ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ რომლითაც დარეგულირებულია ბსუ-ში აკადემიური პერსონალის ღია კონკურსით შერჩევის (სამსახურში მიღების) პროცესი, განსაზღვრულია შერჩევის კრიტერიუმები და დადგენილია აკადემიურ თანამდებობებზე მიღების პროცედურები. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია არსებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან, შესაბამისად მათ გააჩნიათ სათანადო ცოდნა და გამოცდილება განახორციელონ სწავლება განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში მათ მიერ განხორციელებული სასწავლო თუ სამეცნიერო-კვლევითი აქტივობებით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ საანგარიშო პერიოდში გამოქვეყნებულია არაერთი სამეცნიერო სტატია, სახელმძღვანელო, სალექციო კურსი, კვლევა, ფიქსირდება მონაწილეობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო

საგრანტო-კვლევით პროექტებში (მაგალითად: ბსუ-ს საგრანტო პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სისტემური ტენდენციები: სტარტეგია, ინსტრუმენტარი, ეფექტიანობა“ 2018; USAID საბაზისო განათლების პროგრამა. საგრანტო პროექტი, 2020-2023; აჭარის არ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს „უმაღლესი განათლების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამის ფარგლებში საგრანტო პროექტი, 2020-2021 და ა.შ.). აღნიშნული აქტივობები დასტურდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეებით, მათთან გასაუბრებით. ამრიგად, პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი ფლობს იმ აუცილებელ კომპეტენციებს რაც საჭიროა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალიდან 15 აკადემიური პერსონალი თავისი კვალიფიკაციიდან, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დიდი გამოცდილებიდან გამომდინარე უშუალოდ არიან ჩართულები სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობაში.

უნივერისტეტში ფუნქციონირებს ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების გაცემის წესი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის დატვირთვა. კერძოდ, ბსუ-ს აკადემიური თანამდებობის პირს ბსუ-სთან აფილირების საკითხის გათვალისწინებით შეიძლება ჰქონდეს ,,ა“ ,,ბ“ ან ,,გ“ კატეგორიის აკადემიური დატვირთვა. ამათგან ,,ა“ და ,,ბ’ კატეგორიის აკადემიური დატვირთვის (მათ შორის სააუდიტორიო, საკონსულტაციო, სამეცნიერო-კვლევითი და სხვა აქტივობის) შესრულება მოითხოვს ამ პერსონალის ბსუ-ს სამუშაო საათებში (ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით - კვირაში არანაკლებ 5 დღისა და არაუმეტეს 40 საათისა) სამუშაო ადგილზე ყოფნას. მაგალითად, ბსუ-ს ,,ა“ კატეგორიის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს დატვირთვა განსაზღვრული აქვს შემდეგნაირად: პროფესორი - 300 საათი; ასოცირებული პროფესორი - 350 საათი; ასისტენტ-პროფესორი - 365 საათი; ასისტენტი - 385 საათი. ხოლო ბსუ-სთან არააფილირებულ აკადემიურ თანამდებობის პირს კი დატვირთვა განსაზღვრული აქვს შემდეგი ოდენობით: ა) პროფესორს - კვირაში 12 საათი/სააუდიტორიო - 140 საათი; ბ) ასოცირებულ პროფესორს - კვირაში 15 საათი/სააუდიტორიო - 165 საათი; გ) ასისტენტ-პროფესორს - კვირაში 16 საათი/სააუდიტორიო - 175 საათი; დ) ასისტენტს - კვირაში 16-საათიან/სააუდიტორიო - 185 საათი. პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის თანაფარდობა არი 28/3, რაც ცალსახად მიუთითებს პროგრამის ადამიანური რესურსით მდგრად უზრუნველყოფაზე.

პროგრამას ყავს ორი ხელმძღვანელი, რომელთაც გააჩნიათ აკადემიური და ადმინისტრაციული საქმიანობის დიდი გამოცდილება, ისინი წლებია იკავებენ ბსუ-ს აკადემიური პერსონალის პოზიციებს და უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია ასევე 6 ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომელთა მიმართაც სტუდენტების კმაყოფილების კვლევების მიხედვით კმაყოფილება ფიქსირდება, რაც ასევე დადასტურდა ინტერვიურებისას, როგორც პროგრამის სტუდენტებთან, ისე კურსდამთავრებულებთან, პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან.

შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; o პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; o პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები; o უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 ივლისის გადაწყვეტილება #04 ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის დამტკიცების თაობაზე"; o ინტერვიუ პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულ პირებთან; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.bsu.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება
➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ს შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობისა და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წესები. დოკუმენტის შესაბამისად ყოველწლიურად ხორციელდება პერსონალის თვითშეფასება და ფაკულტეტის სხვა წევრების მიერ მათი შეფასება. კერძოდ, უნივერსიტეტი აფასებს პერსონალის ჩართულობას მთლიანად პროგრამის, სილაბუსების განახლებაში; სასწავლო მასალების მომზადებასა და განახლებაში სასწავლო პროცესის მონიტორინგის შედეგად.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე, ფასდება სტუდენტების მიერ ანონიმური კითხვარის ანალიზით ელექტრონულ სისტემაში. შეფასების შედეგებს აანალიზებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. გარდა ამისა, აღნიშნული სამსახური აფასებს პერსონალს ლექციაზე უშუალო დასწრების მეშვეობით წინასწარ შემუშავებული სპეციალური დასწრების ფორმით. გარდა საფაკულტეტო ხარისხის სამსახურისა, ლექციაზე დასწრება შეუძლიათ ფაკულტეტის ადმინისტრაციის სხვა წევრებსა და შესაბამისი დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელს.

შეფასების შედეგები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შეუძლია იხილოს სტუდენტთა გამოკითხვისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების ელექტრონული სისტემაში. ეს უკანასკნელი წარმოადგენს დახვეწილ ინსტრუმენტს, რომელსაც უსდ წარმატებით იყენებს შესაბამისი გამოკითხვების მომზადებისა და გაზიარებისთვის.

შეფასების ზემოთხსენებული ინდიკატორების გარდა, უსდ აფასებს პერსონალის სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობას, მათი ნაშრომების ხარისხს, საგრანტო პროექტებში ჩართულობასა და ნაშრომების ხელმძღვანელობას.

შეფასების შედეგები გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის არჩევის წესში და კონკურსში მონაწილე ვალდებულია სხვა დოკუმენტებთან ერთად წარმოადგინოს ინფორმაცია და შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

აკადემიური პერსონალის, ასევე ადმინისტრაციის ინტერვიუებზე დადასტურდა თვითშეფასებასა და სხვა დოკუმენტებში მოცემული ინფორმაცია, რომ უსდ ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე და ხელს უწყობს მათი სამეცნიერო და კვლევით საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას.

უნივერსიტეტი პერიოდულად უზრუნველყოფს პერსონალს საჭირო კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენიგებით. უსდ-ს ჰყავს 26 აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომლებიც სისტემატურად აქვეყნებენ სტატიებს სხვადასხვა ადგილობრივ და სამეცნიერო ჟურნალებში. ასევე, ჩართულები არიან USAID-ის, Horizon 2020-ის, ERASMUS+ის და სხვა საგრანტო პროექტებში. აღსანიშნავია ფაქტი, რომ უსდ ახალისებს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობებს და აქვს ბიუჯეტში ამ მიმართულებით ფინანსური რესურსები გამოყოფილი, რომელსაც ასევე დანიშნულებისამებრ წარმართავს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის პირადი საქმეები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და ანალიზის შედეგები;
- სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესი;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის CV-ები;
- პროფესიული განვითარების ღონისძიების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სამეცნიერო კვლევების განხორციელების პოლიტიკა;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებლ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.bsu.edu.ge/;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამა უსდ-ს მიერ უზრუნველყოფილია ყველა იმ საჭირო ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. პროგრამისთვის საჭირო ტექნიკური აღჭურვილობა შეძენილია როგორც უნივერსიტეტის ბიუჯეტით, ასევე ERASMUS+ის საგრანტო პროექტის ფარგლებში.

უსდ-ს გააჩნია სასწავლო პროცესის უწყვეტი განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარითა და

ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორები. გარდა ამისა, სივრცე მოიცავს საკონფერენციო დარბაზს, სპორტულ ბაზებსა და კომპიუტერულ კლასებს, რომლებიც ხელმისაწვდომია, როგორც სტუდენტებისთვის ისე პერსონალისთვის. შენობა უზრუნველყოფილია საჭირო სველი წერტილებით და პანდუსებით. უსაფრთხოებისთვის შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო წყალსადენი სახანძრო ონკანებით, გამოკრულია ევაკუაციის გეგმა.

ვიზიტის ფარგლებში ასევე განხორციელდა საბიბლიოთეკო რესურსების შემოწმება. უსდ-ს ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს სტუდენტებსა და პერსონალს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული საბიბლიოთეკო რესურსებით. კერძოდ,

- EBSCO publishing
- Royal Society Journals collection
- Cambridge University Press
- ScienceDirect და სხვა.

ბიბლიოთეკის თანამშრომლები პერიოდულად ამზადებენ სამეცნიერო ბაზების გამოყენების სტატისტიკას.

ბიბლიოთეკაში მოცემულია სილაბუსებით განსაზღვრული სავალდებულო ლიტერატურა. თუმცაღა, ვერ მოხერხდა ლექტორების მიერ მომზადებული, სილაბუსში მითითებული სავალდებულო სასწავლო მასალების ე.წ „ჰენდაუთების“ ნახვა რაზეც ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ თავად ლექტორი უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ელექტრონულად მათ მიწოდებას.

მატერიალური რესურსების განვითარების მიზნით უსდ პერიოდულად ატარებს როგორც სტუდენტების, ისე პერსონალის გამოკითხვებს და ახორციელებს შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს, რათა უზრუნველყოს პროგრამისთვის საჭირო რესურსების და სერვისების შეფასება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ინფრასტრუქტურის ადგილზე დათვალიერება;
- ბსუ-ს ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებლ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.bsu.edu.ge/;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის საფასური შეადგენს 2250 ლარს. წარმოდგენილი პროგრამული ბიუჯეტის მიხედვით 2022 წლისთვის დაგეგმილია პროგრამაზე 15 სტუდენტის მიღება, რაც არსებული სწავლის საფასურისა და დაგეგმილი ხარჯების გათვალისწინებით უნივერსიტეტს აძლევს საშუალებას პროგრამამ იფუნქციონიროს ფინანსურად მომგებიან რეჟიმში. პროგრამის წარმოდგენილ ბიუჯეტში გაწერილია 2022 წელს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შემოსავლები და ხარჯები, თუმცა ხარჯების ნაწილი გაერთიანებულია არაპირდაპირი ხარჯების მუხლში, სადაც განმარტებულია რომ არაპირდაპირ ხარჯებში იგულისხმება პროგრამის განხორციელებასა და განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები, კერძოდ შემოსავლების 40%. ცხადია, უმჯობესი იქნებოდა აღნიშნული მუხლის უფრო დეტალურად ჩაშლა, თუმცა წარმოდგენილ პროგრამას თან ახლავს ასევე უნივერსიტეტის 2022 წლის ბიუჯეტი, სადაც ნათლად ჩანს თუ როგორია ფინანსური მხარდაჭერა არა მარტო წარმოდგენილი პროგრამის, არამედ ბსუ-ში მოქმედი ყველა აკადემიური პროგრამის, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სამეცნიერო-კვლევითი აქტივობების და ა.შ. მიმართ. პროგრამა ფინანსდება როგორც სტუდენტების სწავლის წლიური გადასახდელისაგან, ასევე იგი არის უნივერსიტეტის ერთიანი საბიუჯეტო სისტემისა და პოლიტიკის ნაწილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის 2022 წლის ბიუჯეტი;
- ბსუ-ს 2022 წლის ბიუჯეტი;
- ინტერვიუ პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში ჩართულ პირებთან;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.bsu.edu.ge/;

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სასურველია პროგრამის ბიუჯეტში უფრო დეტალურად ჩაიშალოს პროგრამის განხორციელებასა და განვითარებასთან დაკავშირებული ხარჯები;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება **√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ში ფუნქციონირებს ერთიანი, საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომელიც თითოეულ ფაკულტეტზე წარმოდგენილია საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურით და კოორდინირებას უწევს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პროცესს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის მხრივ მოქმედებს PDCA პრინციპების შესაბამისად, რაც გულისხმობს, P (გეგმა) - დაგეგმვა; D (გააკეთოს) განხორციელება; C (შემოწმება) - შემოწმება; A (მოქმედება) - რეაგირება. აღნიშნული პრინციპები უზრუნველყოფს პროგრამის განვითარების, დამტკიცების და შეფასების პროცესში დაინტერესებული მხარეების მაქსიმალურ ჩართულობას. ინტერვიუების შედეგად დადასტურდა თვითშეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, რომ პროგრამის მოდიფიცირების პროცესში საფაკულტეტო ხარისხთან აქტიურად იყვნენ ჩართულები აკადემიური პერსონალი და ფაკულტეტის დეკანი. პროგრამის სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლები რეგულარულად მართავდნენ შეხვედრებს Zoom-ის პლატფორმის გამოყენებით, რომლის დროსაც ერთდროულად განიხილავდნენ როგორც პროგრამის სწავლის შედეგებსა და მიზნებს, ისე თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებმა ინტერვიუს პროცესში აღწერეს რომ, უსდ-ში პროგრამის განვითარებისთვის იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც მოიცავს პროგრამის ხელმძღვანელებს, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს, ფაკულტეტის ხარისხის წარმომადგენლებს, სტუდენტებს, კურსდამთავრებულებს და სხვა. ჯგუფის მიერ წარმოდგენილ ცვლილებებს და მასალებს განიხილავს კურიკულუმის კომიტეტი, რომლის დადებითი დასკვნის შემთხვევაში პროგრამა წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს. ამ უკანასკნელის დადებითი გადაწყვეტილების შემდეგ კი პროგრამა დასამტკიცებლად გადაეცემა აკადემიურ საბჭოს. უსდ-სთვის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების და განვითარების აღნიშნული წესი ახალია და ძალაშია 2022 წლის 15 ივლისიდან, რაც დასტურდება როგორც ინტერვიუებიდან, ასევე დამატებით მოთხოვნილი დოკუმენტიდან (ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესის დამტკიცების შესახებ).

უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაში განსაზღვრული აქვს მისი როლი პროგრამის შეფასების ნაწილში. კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება მოიცავს როგორც სასწავლო პროცესის მონიტორინგს, მასში ჩართული პერსონალის, პროგრამისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სერვისების შეფასებას, დაინტერესებული მხარეების, სტუდენტთა და განმახორციელებელ პერსონალთა კვლევას, ისე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის გზებისა და სამიზნე ნიშნულების მუდმივ მონიტორინგს. ამასთან, განათლების ადმინისტრირების პროგრამას გააჩნია სწავლის შედეგების შეფასებისთვის სამიზნე ნიშნულები, რომელთა მიხედვითაც პროგრამა ჯერ არ შეფასებულა, რადგან ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების განმარტებით, შეფასება განხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების ახალი წესის შესაბამისად. თუმცა, მიუხედავად

აღნიშნულისა მიგვაჩნია რომ პერიოდულად უნდა მომზადდეს ერთიანი ანგარიში პროგრამის შიდა ხარისხის შეფასების შედეგებისა და განხორციელებული ცვლილებების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს დაგეგმილი ცვლილებების განხორციელებას და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ეფექტურ კონტროლს. ასევე, აღსანიშნავია ფაქტი, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განხორციელებას ხელს უწყობს უსდ-ს გამოკითხვისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების დახვეწილი ელექტრონული სისტემა, რომელიც თავისი მრავალმხრივი ფუნქციონალით შეგვიძლია მივიჩნიოთ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად. აღნიშნული ინსტრუმენტი უადვილებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მონაცემების მოპოვებისა და დამუშავების პროცესს. პორტალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; o პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; o ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; o ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; o ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებლ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან; o სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები; o ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების წესი; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.bsu.edu.ge/
რეკომენდაციები: o რეკომენდებულია პერიოდულად მომზადდეს პროგრამის ერთიანი ანგარიში შიდა ხარისხის შეფასების შედეგებისა და განხორციელებული ცვლილებების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს დაგეგმილი ცვლილებების განხორციელებას და ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ეფექტურ კონტროლს.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): o უნივერსიტეტში ფუნქციონირებს დახვეწილი ელექტრონული სისტემა, რომელსაც შეუძლია უსდ-ს გამოკითხვისა და აკადემიური მოსწრების მონაცემების მიზნობრივი დამუშავება, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის განხორციელებას.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უსდ-ში საგანმანათლებლო პროგრამების გარე ხარისხის შეფასების მიმართულებით მოქმედებს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესების ფარგლებში მიღებული შეფასებების, რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინების პრაქტიკა.

განათლების ადმინისტრირების წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მოდიფიცირებისა პროცესში პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ გათვალისწინებულ იქნა წინა აკრედიტაციის ვიზიტით მიღებული რეკომენდაციები. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ 2021 წლის 29 ოქტომბრის სხდომაზე პროგრამას უარი ეთქვა აკრედიტაციაზე. შესაბამისად, უსდ-ს მიერ განხორციელდა მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინება სასწავლო კურსებთან დაკავშირებით. კერძოდ, პროგრამას დაემატა შემდეგი სასწავლო კურსები: „სტრატეგიული მენეჯმენტი“, „აკადემიური წერა მაგისტრანტთათვის“, „რისკების მართვა განათლებაში“. მოდიფიცირდა შემდეგი სასწავლო კურსები: „ფინანსები განათლებაში“ ჩანაცვლდა სასწავლო კურსით „საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსების მოდელები და საბიუჯეტო პროცესი“, „განათლების სფეროში საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები“ ჩანაცვლდა კურსით „განათლების საკანონმდებლო უზრუნველყოფა“, „ხარისხის მართვა განათლებაში“ - კურსით „ხარისხის მართვა უმაღლეს განათლებაში“ და სხვა. ასევე, გაიზარდა პროფესიული პრაქტიკის მოცულობა და არჩევითი სასწავლო კურსების ჩამონათვალი. შრომის ბაზრის მოთხოვნების პროგრამაში გათვალისწინების მიზნით უსდ-მ გამოკითხა რეგიონის 24 დამსაქმებელი.

უსდ-მ, ასევე, გაითვალისწინა ექსპერტთა პანელის რჩევა პროგრამისთვის კოლეგიალური შეფასების მომზადების ადგილობრივი და საზღვარგარეთის ამავე მიმართულების აკადემიური პერსონალისა თუ ექსპერტების მიერ. პროგრამის თვითშეფასების ანგარიშით, დანართებითა და ინტერვიუებიდან დასტურდება რომ, გარე შეფასების ერთ-ერთ მექანიზმს უსდ-სთვის წარმოადგენს კოლეგიალური

შეფასება, რა დროსაც ფასდება პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, მათი მიღწევისა და განხორციელების ადეკვატურობა, პროგრამის კურიკულუმი, სწავლის და სწავლების მეთოდები, კურსდამთავრებულთა კომპეტენციები და სხვ. უნივერსიტეტმა წარმოადგინა 3 კოლეგიალური, გარე შეფასება. პროგრამის სტრუქტურიდან და პროგრამის სამუშაო ჯგუფის წევრებთან ინტერვიუებიდან დასტურდება, რომ უსდ-მ პროგრამის მოდიფიცირების პროცესში გაითვალისწინა კოლეგების შეფასებები. წარმოდგენილი საკრედიტაციო პაკეტითა და შერჩეულ პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ პროგრამის მოდიფიცირების პროცესში გათვალისწინებული იქნა მათი რეკომენდაციები და რჩევებიც. კერძოდ, გაიზარდა პრაქტიკის მოცულობა და პროგრამაში წარმოდგენილია როგორც ზოგად ისე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა; o პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი; o ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება; o ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა; o ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებლ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან; o გარე შეფასებები; o უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.bsu.edu.ge/
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის o სასურველია პროგრამას თან ახლდეს დეტალური ანგარიში აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციების გათვალისწინების მდგომარეობის შესახებ;
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში ფუქნციონირებს საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები, რომლებიც დებულებით გათვალისწინებული კომპეტენციების ფარგლებში მონაწილეობას იღებენ საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და შემუშავების, შემდგომში კი მონიტორინგის, შეფასებისა და განვითარების პროცესებში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოლიტიკიდან და თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს და შეფასებას, რომელიც მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ✓ **სააუდიტორიო მუშაობის მონიტორინგი** - საგანმანათლებლო პროგრამების, სილაბუსების და სასწავლო მასალების განახლების, სასწავლო პროცესში ელექტრონული რესურსების გამოყენების, პლაგიატის გამოვლენის, სასწავლო კურსების განმახორციელებელი პერსონალის დასწრება/ურთიერთდასწრების მონიტორინგი; ✓ **სასწავლო პროცესის ორგანიზების მონიტორინგი** - სტუდენტთა აკადემიური რეგისტრაციის პროცესის, მეცადინეობის განრიგის (სასწავლო ცხრილების) შესახებ სტუდენტთა ინფორმირების, საკონსულტაციო მომსახურების დაგეგმვის/განხორციელების, სასწავლო პროცესისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის მონიტორინგი და სხვ.; ✓ **საგამოცდო პროცესის მონიტორინგი** - შუალედური და დასკვნითი საგამოცდო მასალების შემოწმება სასწავლო კურსის სილაბუსთან (კურსის შინაარსი, მისაღწევი შედეგები, შეფასების ფორმა) და საუნივერსიტეტო ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სტუდენტთა ნაშრომების შერჩევითი მონიტორინგი სილაბუსით გათვალისწინებული შეფასების კრიტერიუმების/რუბრიკების გამოყენების, განმავითარებელი შეფასების შედეგების უკუკავშირის და შეფასების ობიექტურობის უზრუნველყოფის მიზნით; ✓ **სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი** - სტუდენტთა შუალედური და დასკვნითი გამოცდების აკადემიური მოსწრების საბოლოო შედეგების სტატისტიკური და თვისობრივი ანალიზი (უნივერსიტეტის, ფაკულტეტის, საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის და მისი განმახორციელებელი პერსონალის დონეზე), არსებული მდგომარეობის შეფასება, პრობლემების გამოვლენა და მათი გადაჭრის გზების დასახვა; ✓ **სტუდენტთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი** - სასწავლო პროცესის ორგანიზების, საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსების შეფასების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ელექტრონული სისტემით (www.portal.bsu.edu.ge)

სტუდენტთა გამოკითხვის ჩატარება, შედეგების ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დონის დადგენა და რეკომენდაციების შემუშავება.

ინფორმაცია სასწავლო პროცესის მონიტორინგის და შეფასების აღნიშნული კომპონენტების შესახებ დასტურდება ინტერვიუებიდან აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. როგორც უკვე აღინიშნა, ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის ეფექტურ განხორციელებას ხელს უწყოს უსდ-ს გამოკითხვისა და აკადემიური მოსწრების დამუშავების დახვეწილი ელექტრონული სისტემა, რომელიც თავისი მრავალმხრივი ფუნქციონალით შეგვიძლია მივიჩნიოთ საუკეთესო პრაქტიკის მაგალითად. აღნიშნული ინსტრუმენტი უადვილებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მონაცემების მოპოვებისა და დამუშავების პროცესს. პორტალი საშუალებას იძლევა განხორციელდეს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევა. მონაცემების დამუშავების შემდგომ დაინტერესებულ მხარეებს კვლევის შედეგები და რეაგირების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებათ ამავე სისტემის მეშვეობით.

უსდ-ს წარმოდგენილი აქვს პროგრამის მონიტორინგის და შეფასების შედეგად გამოკითხვის შედეგები. თუმცაღა, უნდა აღინიშნოს რომ სასურველია გამოკითხვის შედეგების ანალიზი იყოს მეტად ინფორმატიული და ანალიზში ნათლად იყოს გამოკვეთილი ხარისხის სამსახურის შეფასება მიღებულ შედეგებთან მიმართებით.

ხარისხის უზრუნველყოფისა სამსახურის მიერ ასევე, განხორციელდა პროგრამის დადარება ადგილობრივი და უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან. კერძოდ, პროგრამა შედარებულია შემდეგი ადგილობრივი უსდ-ების ანალოგ პროგრამებთან:

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
- საქართველოს უნივერსიტეტი
- ევროპის უნივერსიტეტი
- შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

რაც შეეხება უცხოურ პროგრამებს, მითითებულია:

- California State University San Marcos
- Ball State University
- Bath Spa University
- WILLIAM WOODS UNIVERSITY

თუმცაღა, ანალოგი პროგრამების ანალიზში ნაკლებად ჩანს როგორ არის პროგრამაში შედარების შედეგად გათვალისწინებული საერთაშორისო კარგი პრაქტიკა ან რის გაუმჯობესებას გეგმავს მის საფუძველზე ინსტიტუცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- განათლების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

- პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებლ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- გამოკითხვის შედეგების ანალიზი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://www.bsu.edu.ge/

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ანალოგი პროგრამების ანალიზის დროს უსდ-მ მეტად წარმოაჩინოს თუ როგორ არის პროგრამაში გათვალისწინებული საერთაშორისო პრაქტიკა ან რის გაუმჯობესებას გეგმავს მასზე დაყრდნობით მომავალში;
- სასურველია გამოკითხვის შედეგების ანალიზი იყოს უფრო ინფორმატიული, რისთვისაც კარგი იქნება დაიხვეწოს გამოკითხვის არსებული ფორმები და შედეგების ანალიზში ნათლად იყოს გამოკვეთილი ხარისხის სამსახურის შეფასება მიღებულ შედეგებთან მიმართებით.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

√ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
განათლების ადმინისტრირება

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 51

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		√		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	√			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	√			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

ვასილ კიკუტაძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

ქეთევან თოდაძე

ანი ქვათაძე



გიორგი ფარეშიშვილი